მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება № 23

ქარელი სოფ. რუისი 03.12. 2019 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისის N1 საჯარო სკოლა (შემდგომში - დამკვეთი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან რაზმიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს სახანძრო სამაშველო უსაფრთხოება , (შემდგომში - შემსრულებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ თეთრაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხანძარსაწინაარმდეგო მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება CPV:50413200) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 180 (ას ოთხმოცი) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ნაწილობრივ 30 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების მიღების ადგილია დამკვეთის ადგილსამყოფელი - სსიპ ქარელის მუნიციპალიტეტის სიფელ რუისის N1 საჯარო სკოლა

4.2. მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. დამკვეთი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით

დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა. კერძოდ:

- 4 ც. ცეცხლმაქრების გადამუხტვის ღირებულება; 180 ლ.
-

სულ 180 ლ.

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ რუისის N1 საჯარო სკოლის დირექტორი ლევან რაზმიაშვილი .

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

მუხლი7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით,

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების და სრულების თანავე.

მუხლი9. ხელშეკრულებაშიცვლილებისშეტანადახელშეკრულებისშეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი11.ხელშეკრულებისმოქმედებისვადა

11.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თანავე და მოქმედებს 2019წლის 30 დეკმბრის ჩათვლით.

მუხლი 12. სხვაპირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ, ქარელის მუნიც. სოფ. რუისის N1 საჯ. სკოლა ს/კ 240 890 915 მის: ქარელის მუნიციპ. სოფ. რუისი ტელ: 591 05 66 77 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს ,,ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი**: LBRTGE22** ა/ა GE08LB**0121110545599000** **დირექტორი** **ლევან რაზმიაშვილი** _____ (ხელმოწერა)	შპს „სახაძრო სამაშველო უსაფრთხოება“ ს/კ - 205190826 მის.: ქ. თბილისი,ონიაშვილის ქ. N64 ტელ : 577419188 საბანკორეკვიზიტები: ს/ს ,,საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა GE53BG0000000179464600 **დირექტორი** **თეიმურაზ თეთრაშვილი** _____ (ხელმოწერა)

LEPL – KARELI MUNICIPALITY VILLAGE RUISI PUBLIC SCHOOL №1

Digitally signed by LEPL – KARELI MUNICIPALITY VILLAGE RUISI PUBLIC SCHOOL №1
Date: 2019.12.03 12:23:45 +04'00'